ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №12

2025 წლის 29 ივლისი

დაბა ხულო

„ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 21 ივლისის №5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლისა და „ქალისა და მამაკაცის თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 21 ივლისის №5 დადგენილებით (www.matsne.gov.ge, 23.07.2014, სარეგისტრაციო კოდი: 010250040.35.136.016132) დამტკიცებულ „ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტში“ შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. **დადგენილების დანართის მე-3 მუხლის მე-8 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ე) ქალისა და მამაკაცის თანასწორობის ხელშეწყობის ღონისძიებათა დაგეგმვა და დამტკიცება;“.

2. **დადგენილების დანართის V^1 თავი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:**

ა) **V^1 თავის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭო“;

ბ) **მუხლი 34^1 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„მუხლი 34^1 ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭო

1. ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოში იქმნება ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭო.

2. ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნის წესი, შემადგენლობა, უფლებამოსილება და ფუნქციები განისაზღვრება ამავე საბჭოს დებულებით, რომელსაც ამტკიცებს საკრებულო.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ხულოს მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **რენარ ბოლქვაძე**